572
1971

1971 ივლისი N 4

ბავშვი

შეხვედრა ფუეში

ლ. ვორონკოვა

ნახატი ე. აფანასევისა

საბჭოთა მეურნეობაში საქონლის საკვები მეურნეობას დახმარებოდნენ. მოზრდილი უჭირდათ. საბავშვო სახლში გადაწყვიტეს, ბავშვები საკვების საშოვნელად ტეეში წავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა და ნუგზარი

ლეილა ერაკე

ვინ შეაქებს კახას,
დაუღია ჭირი,
არაფერი ართობს,
სულ ტირის და ტირის.
გაცინებულ კახას
ვერასოდეს ნახავთ.

სხვა ბიჭია ნუგზარი,
ყველას კოცნას უგზავნის,
მხიარულობს, იცინის,
ხითხითებს და ხითხითებს...
ბებოს დაჭყავს ხბორებთან,
ბაბუს დაჭყავს წისქვილზე.

ნახატი **გიორგი როინიშვილისა**

11583

დნენ. ამტვრევდნენ ტოტებს და ერთ ადგილზე აქუჩებდნენ.

გვიანი შემოდგომა იყო, ყინვიანი.

ლენინი საიდანღაც გორკაში ბრუნდებოდა. მანქანა ძლივძლივობით მიდოდა ტეის ოღრეჩოღრო გზაზე. შემდეგ კი ჩაყარდა ღრანტეში და აბუქსავდა.

ლენინი მანქანიდან გადმოვიდა. ბავშვების ჟრიამული რომ გაიგონა, იმათკენ გაეშურა. ბავშვებმა დაინახეს თუ არა ლენინი და ღრანტეში ჩაყარდნილი მანქანა, მაშინვე დასახმარებლად მიცვივდნენ. დაამტვრიეს ტოტები და მანქანის ბორბლებქვეშ ჩაუარეს. მანქანა, როგორც იქნა, ამობობდა.

ლენინმა ბავშვებს გადახედა, ისინი ძოლად გალუმპულიყვნენ.

— აბა, ვის სურს მანქანით გასეირნება?—ღიმილით უთხრა ლენინმა ბავშვებს.

ვინ იტყოდა უარს!

მაშინ ლენინმა სერიოზული სახით ბრძანება გასცა:

— აბა, დასხედით მანქანაზე!

ბავშვები ერთმანეთს არ აცდიდნენ ჩასხდომას. მანქანა ისე გაიჭედა, ლენინის დასაჯდომი ადგილიც კი აღარ იყო. შეცბუნებულმა ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს და მანქანიდან გადმოსვლა დააპირეს.

— წადით, წადით, — შეაჩერა ისინი ვლადიმერ ილიას ძე,—თორემ გაცივდებით. მე კი ისედაც მეეოფა კაბინეტში ქალაქებთან ჯდომა, ცოტას ფეხით გავივლი.

მანქანა დაიძრა.

ბავშვები დიდხანს უყურებდნენ ფეხით მიმავალ ლენინს და ხელს უქნევდნენ, ვიდრე იგი თვალს არ მიეფარა.

თარგმნა **კ. გოგიაშვილმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზაში

ნოდარ კეკელიძე

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

მალხაზის მამა ცხვარს ზაფხულის საძოვრებზე გაჰყვა. წასვლისას მალხაზს დაუბარა, ოჯახს შენს ანაბარა ვტოვებ, და, აბა, შენ იცი.

ის დღე იყო და მალხაზი იშვიათადღა გადიოდა შინიდან სათამაშოდ. თანატოლები თუ უსაყვედურებდნენ, რა დაგემართა, რატომ აღარ გამოდიხარო, ბიჭი მაშინვე მიახლიდა: მამაჩემი ცხვარშია და ხომ იცით ოჯახში რამდენი საქმეაო!

ერთხელაც, როდესაც მალხაზი სკოლიდან შინ დაბრუნდა, ხედავს, დედამისი ლოგინში წევს და კვნესის.

— ავადა ხარ, დედი?—მიუცუცქდა ბიჭი.

— ჰო, შვილო. ექიმმა მითხრა: მაგრად გაცივებულხარო, თავს თუ დროზე არ მიხედე, გაგირთულდებაო. წამლები გამომიწერა, მაგრამ რა გინდა! ვინ გაგვეგზავნება იმ სიშორეს? მამაშენი მაინც ყოფილიყო შინ!

— მე წავალ, დედი!—წამოიძახა მალხაზ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მა,—ალაკნამდე ჩასვლას რა უნდა?!

— აბა, რას ამბობ, შვილო. თითისხელა ბიჭს იმ სიშორეს მარტო გაგიშვებ?! საცაა შებინდდება კიდეც!

— მერე რა მოხდა! „თითისხელა ბიჭი“...— ჩაიბუზღუნა მალხაზმა,—იმ დღეს შაქროაანთ ნუგზარი რომ წავიდა, ის როგორ იყო?

— ნუგზარი უკვე დიდი ბიჭია. გზა რომ აგებნეს და მგლებმა შეგჭამონ, რალა მე'შველება!

— იმ გზაზე მარტო ხომ არ ვიქნები, სანამ მზე ჩავა, ამოვბრუნდები კიდეც!

მალხაზმა, როგორც იქნა, დაიყოლია დედა და გზას გაუდგა. მალე სოფელი გალია და დაღმართზე დაეშვა.

ის იყო კაკლიანს გასცდა, რომ უეცრად, საიდანღაც ყვირილი შემოესმა:

— მიშველეთ! ხალხოო!..

მალხაზმა გზიდან გადაუხვია და ხევს გადახედა. ხევის პირას. ღრანტეებში, ორთვალა აბოლავებულიყო. ორთვალას გარშემო თეთრწვერა მოხუცი დარბოდა და ეშეშით მუხლებზე ირტყამდა ხელებს.

— რა მოგივიდა, ძია? — ჩაირბინა მალხაზმა.

— ამას რომ ეცეს ჭირი!—მოხუცმა გატრუნულ სახედარს სახრე გადაუჭირა, ხევს რომ გამოვცდი, ამ სამგლემ, მაშინ არ აყარა ტლინკები? აყარა და კიდეც გადამიბრუნა ორთვალა. ორთვალას ვინლა ჩივის, საფქვავით სავსე ტომრები დამიოხრა. აგრემც გამჩენი გიშველის, ერთი აქედან წამომშველე, იქნებ როგორმე დავძრათ!..

— ახლავე, ძია! — დაფაცურდა მალხაზი. კარგა ხანს ეჯაჯგურნენ, მაგრამ ვიდრე ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალადან ტომრები არ გადმოცალეს, ძვრაც ვერ უყვეს.

— აი, გაგიწყდა სინსილა, ვირო!—ბრაზობდა მოხუცი.

დიდი ჯაფისა და წვალების შემდეგ, ორთვალა ფეხზე დააყენეს, ისევ დატვირთეს და ტაატით აივაკეს, ამასობაში კარგადაც შეღამდა.

— იცოცხლე, შვილო!—დაარღვია სიჩუმე მოხუცმა,—საით გაგიწევია? ვინ იცის, როგორ გეჩქარებოდა.

— ალაკანში მივდივარ, წამლები უნდა გამოვიტანო!

— აბა, დახე, კაცო, შინ ავადმყოფი გყოლია, მე კიდევ აქ... უჰ, უჰ!—შეღონდა მოხუცი.

ტყე რომ გაიარეს და ალაკანს დაუახლოვდნენ, მოხუცი ერთ-ერთი სახლის ჭიშკართან შედგა და ომახიანად დაიძახა:

— ბიჭო, გიორგი!

— რა იყო, მამი!

— ცხენი შეკაზმე და გარეთ გამო!—მერე მოხუცი მალხაზს მიუბრუნდა:

— შინ შეგიპატიჟებდი, ეგრე გაშვება არ გეკადრება, მაგრამ რომ გეჩქარება!..

— გმადლობთ, ძია, წავალ, კარგად იყავით!—მალხაზმა წასასვლელად გაიწია.

— მოიცა, შვილო, სად წახვალ, კაცო, განა ეგრეა საქმე?

ჭიშკარი გაიღო და ცხენიანი კაცი გამოვიდა. მოხუცმა ცხენოსანს ყველაფერი უამბო და მერე მალხაზზე ანიშნა:

— ამ ბალღმა, რაც გითხრას, ისე მოიქეცი, აბა, თქვენ იცით!

ცხენზე ჯერ მალხაზი შემოსვეს, მერე გიორგი შემოაჯდა და თვალისდახამხამებაში ადგილს მოსწყდნენ.

იმ ღამეს მალხაზმა უზომოდ გაახარა დედა.

მოგვკოლდ ეფრაიმ ლესსინგი

კეთილისმყოფელი

— ვინა გუაგს ცხოველთაგან ჩვენზე უფრო კეთილისმოყოველი?—ჰკითხა ფუტკარმა ადამიანს.

— ვინა მუაგს და ცხვარი,—მიუგო ადამიანმა.—ცხვრის მატელი ჩემთვის აუცილებელია, შენი თაფლი კი მხოლოდ სასიამოვნოა.

იცი, კიდევ რატომ არის ცხვარი ჩემთვის შენზე უფრო კეთილისმოყველი? ცხვარი უმტკივნეულოდ მჩუქნის თავის მატელს, შენ კი, როდესაც შენს თაფლს მჩუქნი, მე მუდამ მეშინია შენი ნესტარის!

თარგმანი ზვიად ბამსახურდიასი

ნახატი მზია უგულავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული და ჩიტი

ლ. ბლადკოვი

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

დადგა გაზაფხული. მიწიდან პატარა წყარო ამოჩუხჩუხდა, ნაკადულად იქცა. ისეთი პაწაწინა იყო, ასანთის კოლოფითაც კი დააგუბებდი.

შუადღისას ძალიან დაცხა და ნაკადულმა ცუდად იგრძნო თავი.

— მეშინია, ვატყობ, დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვს. საღამო

ნოდარ შამანაძე

თამუნიას სიხარული

— რა გახარებს, თამუნია,
თვალები რამ გაგიბრწყინა?
— ჩემმა დედამ, ჩემმა მამამ
ძმა მიეიდეს ბაწაწინა.

სტუმარი

დათვმა ღორი დაპატიჟა
თავის ცოლშვილიანა.
შუა ბევრი მოიტანა,
ტეტხლი აუბრიალა.
სუფრა სწრაფად გაუშალა,
განა დაუგვიანა,
თეთრი დვინო მიუტანა,
სანთელიკით კრიალა,
გოლეულიც მიუტანა,
მარტო თაფლი კი არა.
გამტკიცული ხორბლის ჰურით
სუფრა აუმზიანა,
გარმონიც კი გაუწელა,
დოლი აუხმიანა...
ღორმა კარგად მოილხინა,
მთვრალმა ვეღარ იარა,—
წავიდა და ლაფში ჩაწვა
თავის ცოლშვილიანა.

საღურგლოში

ხრიი! ხრიი! ხრიი!—
დიდი ხერხი ხრიალებს.
შრიი! შრიი! შრიი!—
შალაშინი შრიალებს.
ჯრიი! ჯრიი! ჯრიი!
იატაკი ჯრიჯინებს.
ღიი! ღიი! ღიი!
მია თედო ღიღინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი წერეთელი

სალამურის ხე

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

რა ეზო მაქვს,
რა ბაღნარი,
რა დედული,
რა მამული!
შიგ იზრდება სიმღერის ხე,
სართულ-სართულ გადაბმული.
თითო, თითო სართულიდან
გამოვთალე სალამური
და სამშობლოს სადიდებლად
ხმა გაისმა საამური.

ფანდური

საბუხრედ გამეტებული,
ბიჭმა გამთალა ლამაზმა,
ყელი რომ მომიჩუქურთმა,
მკერდზე ლალები ამასხა,
დაჯდა და მუხლზე დამისვა,—
მამულს ვუმღეროთ ლამაზსა...
დაწვას ვინც გადამარჩინა,
ის გაეზარდოს მამასა.

აჩუ, ბაჩა

აჩუ,
ბაჩა ცხენსა,
თუ წამიყვან ჩვენსა,
არ მოგაკლებ ბზესა,
თივასა და ქერსა.

თუ ჩვენსა ვერ წამიყვან;
შენი კუდი—მგელსა,
ძუა ქონდეს საცერს—
ფქვილის გასაცრელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრუხი-მელია

უშანგი გედია

ზღაპარი

ნახატები დიმიტრი ზარაფიშვილისა

ერთხელ მელიამ საქათმეში კვერცხები ნახა. გაუხარდა. ერთ კვერცხს პირი დაავლო და გადაყლაპა, მერე მეორე გადაყლაპა. მესამე კვერცხის გადაყლაპვაც რომ დააპირა, სოროდან თაგვმა გამოჰყო თავი:

— მელიკო, ერთი რამე უნდა გითხრა და არ გამიბრაზდეო.

— თქვიო,—უთხრა მელამ.

— შენი მუცლის ამბავი რომ ვიცი, მაგ კვერცხების ასე ყლაპვა ხელს არ მოგცემს, მაინც მშიერი დარჩები. ადექი და ეგ კვერცხები სოროში შეზიდე, კრუხად დაჯექი, წიწილები გამოჩეკე, დაზარდე და ზამთარში საჭმელი გექნებაო.

მელიას თაგვის რჩევა ჭკუაში დაუჯდა. კვერცხები სოროში ჩაზიდა, ფრთხილად დაალაგა და კრუხად დაჯდა.

გადიოდა დღეები... ერთ მშვენიერ დილას მელიას წიწილის წიაკი მოესმა. მალე მეორე წიწილის ხმაც გაიგონა, მერე ყველა წიწილა ერთად აწიაქდა. მელიას ერთი კვერცხიც კი არ გაულაყებია.

წიწილები იზრდებოდნენ. მელიას ისინი წყლის დასალევად წყაროზე დაჰყავდა, დასაპურებლად მინდორში წაასხამდა ხოლმე. ხანდახან მხართეძოზეც წამოწვებოდა, წიწილებს გვერდით მოისხამდა და თოფიან კაცზე ზღაპრებს უყვებოდა. საღამოობით კი დასაძინებლად წამოწოლილ მელიას, ზოგი მუცელქვეშ შეუღოღდებოდა დასაბუდებლად, ზოგი ზურგზე შემოასკუპდებოდა და თბილ ბეწვში ჩაიძინებდა...

ტურა, მელიას მეზობლად რომ ცხოვრობდა, ბრაზობდა, რატომ მელა წიწილებს არ ჭამსო.

ერთხელ დრო იხელთა და სამი წიწილა მოჰპარა. საღამო ხანს მელიამ წიწილები დათვალა

და თვალს არ დაუჯერა: სამი წიწილა აკლდა. იქით მიდგა, აქეთ მოდგა, ვერსად ნახა. ბოლოს კაჭკაჭთან მიცუნცულდა, იცოდა, კაჭკაჭს ენაზე არაფერი დაადგებოდა; თან ცოტა შაქრის ნატეხიც მიუტანა.

— ავად ვიყავი!—უთხრა კაჭკაჭმა,— არაფერი ვიცი.

— რატომ თან არ გადაჰყეო, — ჩაილაპარაკა მელამ და უკან გამობრუნდა.

დაბინდებული იყო, შინ რომ მივიდა. წიწილები ავახშმა, წყალი დაალევინა, დააბუდა, თან დაარიგა: სოროდან არ გახვიდეთ, თორემ თოფიანი კაცი წაგიყვანთო. თვითონ კი ისევ წიწილების საძებნელად წავიდა.

ამაოდ ეძება. ბოლოს, მუხის ძირას, სოროდან თაგვმა გამოჰყო თავი და იმას ჰკითხა,—ჩემი წიწილები ხომ არ გინახავსო.

— შესაჭმელად, რაც დაგრჩა, ისიც გეყოფა და დაკარგულებს რაღას დაეძებო,—უთხრა თაგვმა.

მელიას ეწყინა, სიბრაზისაგან კუდი დაეძაგრა, აიფხორა. თაგვს შეეშინდა, ამ შეჩვენებულმა შვილები არ დამიობლოსო და სოროში შეძვრა.

თურმე ნუ იტყვით, მგელსა და ტურას წიწილები მუხის ფუღუროში ჰყოლოდათ დამალული და მელიის ხმა რომ გაიგონეს, წიაქი ასტეხეს. მელიამ იცნო თავისი წიწილების ხმა და მუხისაკენ გახარებული გაიქცა. ფუღუროდან წიწილები გამოიყვანა, ზურგზე შეისხა და მხიარულად გასწია შინისაკენ.

ტურას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, თუ რა დიდი სიყვარულით მიჰყავდა მელიას წიწილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

მელიას სიმღერა

მარი აბრამიშვილი

ფანდურს უკრავს მელაო:
— აბა, დელი დელაო,
ყვინჩილა და ვარია
მე შევჭამე ყველაო.

კიდევ დაიზრდებიან
წიწილები მალეო,
მათაც შევახრამუნებ,—
დიელი დალალალეო..

1. პატარა ბიჭი გია
ლოგინში ჩაწვა გვიან.

2. ძილში ეძახის დედას,
რა სიზმარს ხედავს, ნეტავ?!

3. უეცრად მოჰყვა ღრიალს.
ძილში ლომს ებრძვის გია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოჯინების თეატრში

დავით ხუროძე

რა ლამაზი ტყე ვნახეთ,
კოხტა მთა და ველია,
დათუნია ბაჯბაჯა,
კუდბომბორა მელია.

მონადირე მგელს შეხვდა,
„ბუხ“ და თოფი დაცალა.
დათვმა ნანა უმღერა
გრძელყურება ცანცალას.

წუწკი ტურა მამლებმა
სცემეს, ძლივს მოიცილეს...
თოჯინების თეატრში
ბევრი, ბევრი ვიცინეთ!..

კოდალა და კატკატში

რევაზ ბერაძე

— გუშინ ზოოპარკიდან
გაპარულან ციყვები.
— ეგ ხომ უკვე გავიგე,
რა ძველ ამბავს მიყვები!

4. რა ჰქნას? ძალ-ღონეს იკრებს,
ბიჭი მიეცა ფიქრებს.

5. გადაიწმინდა ოფლი,
დახატა დიდი თოფი.

6. აღარ ეძახის დედას,
რა მშვიდად ძინავს, ხედავთ?!

ნისლა

აკაკი ართილაყვა

ნახატები **ზურაბ კაკაბაძისა**

მამა დილაადრიანად ყანაში მიდიოდა, დედა—ჩაის პლანტაციაში. შინ მარტო ვრჩებოდი, მაგრამ აბა, რა მომაწყენდა! ჯერ ყანის პირას დაბმული ლამაზა მომაბღავლებდა: მოდი, თოკი სანამდეც მიმიწვდა, ირგვლივ ბალახი სულ მოვძოვე და ახლა სხვაგან გადამაბიო. გავიქცეოდი, ავხსნიდი და სადაც მაღალი, კარგი ბალახი იყო, იქ დავაბამდი.

მერე ჩვენი ღრუტუნა მოადგებოდა ღობეს და აჭყვიტინდებოდა: ერთი ორიოდე ვაშლი მაინც გადმომიგდე, პირი გავისველოო. ხეხილნარში ქარისაგან ჩამოყრილ ვაშლებს ავკრეფდი და გადავუყრიდი. ღრუტუნა მიჩუმდებოდა და ახლა ქათმები აკაკანდებოდნენ, სახლის წინ მოგროვდებოდნენ და ხელებში შემომაცქერდებოდნენ. გამოვიტანდი ბეღლიდან პატარა კალათით სიმინდს და დავუყრიდი.

ბოჩოლასთვისაც ხომ უნდა მიმეხედა...

საზრუნავი სხვაც ბევრი მქონდა და ასე გადიოდა დღეები.

მაგრამ ბოლოს მეზობლის ვაცი—ნისლა გადამემტერა და სულ თავბედი მაწყევლინა. ნისლა დიდი ტანისა იყო. ვეება, დაგრეხილი რქები ჰქონდა და გრძელი, ცანცარა წვერი.

ნისლა ყოველ დილით დედა თხებთან ერთად წიფლნარში მიდიოდა. იქ შუადღემდე შეექცეოდა ნეკერს, მერე თხებს მოშორდე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდა, წამოვიდოდა, ჩემს ჭიშკართან დადგებოდა და შქერის ღობეს თავგამოდებით ურტყამდა რქებს. ამით გულს რომ იჯერებდა, მობრუნდებოდა, ჭიშკრის წინ აიყუნცებოდა და ეზოში იყურებოდა.

კარგი ბიჭი იყავი და, აბა, ერთი, იმ დროს, ეზოდან ფეხი გაგედგა, როგორც კი ჭიშკრის გაღებას დავაპირებდი, მაშინვე რქებით გამოქანდებოდა.

ის რომ იქ იდგა, ეზოს იქით როგორ გავიხედავდი, მაგრამ ისიც საფიქრებლად გამიხდა, ღობეზე არ გადმომხტარიყო.

მტრისას, ის რომ ეზოში გადმომხტარიყო, დამედევნებოდა, მიმიმწყვდევდა სადმე ღობის

კუნჭულში და რქებით მაგრა მიმბეგვავდა. მერე ეზოდან ვენახში გადავიდოდა, ვენახიდან—ბოსტანში და ყველაფერს სულ ერთიანად აიკლებდა.

ნისლა რომ აგრე მტრად გამიხდა, მამისათვის მინდოდა მეამბნა, მაგრამ როგორი გასამხელი იყო! ვაცმა დაგაშინაო,—მეტყოდა და მშიშარა ბიჭად ჩამთვლიდა. მეტი რა გზა იყო, ეს დაუნდობელი, საშიში მტერი ისევ თვითონ უნდა მომეშორებინა თავიდან, მაგრამ როგორ? რით?..

ერთხელ ავიღე ჯოხი, გავყავი თავი ჭიშკარში,—იქნებ დავაშინო-მეთქი, საქმეში ხარ! შეეშინდა კი არა, გამოექანა და ჭიშკრის მიხურვა რომ არ მომესწრო, კარგ დღეს არ დამაყრიდა.

ახლა სხვა ხერხი ვიხმარე. ნისლა გამოჩნდებოდა თუ არა ღობესთან, ზემოდან სათლით ცივ წყალს გადავასხამდი.

ნისლა ერთს შეხტებოდა, გაირბენ-გამოირბენდა და მერე ისევ ღობესთან აიყუნტებოდა. ყოველდღე, ნაშუადღევს, ისევ დარაჯივით ედგა ეზოს.

რომ ვერაფრით მოვიშორე, ერთი კარგი ოინი ვუყავი და ჭკუაც ვასწავლე. დილით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღობეს ჯერ ძეძვი მოვავლე, მერე კი მის გასწვრივ წვრილი მავთულები გავაბი. მავთულები ორიოდე გოჯით იყო ერთმანეთთან დაშორებული.

შუადღემ რომ მოატანა, ღობესთან მივედი და წიფლნარისაკენ ყურება დავიწყე. არ გასულა დიდი ხანი და ნისლაც გამოჩნდა, დინჯად ჩამოიარა ფერდობი და ღობეს თხუთმეტიოდე ნაბიჯით რომ მოუახლოვდა, შედგა, თავი ამაყად ასწია და დაკუსული თვალებით გადმომხედა.

მე გამოსაჯავრებლად მუშტი მოვუღერე და მერე კენჭები ვესროლე.

ბრაზმორეული ნისლა სპუა-სკუპით წამოვიდა. ახლოს რომ მოვიდა, აღიმართა უკანა ფეხებზე და პირდაპირ ღობისკენ გამოქანდა, მაგრამ ძველებურად ღობეს რქები ველარ დააძგერა, მავთულებში თავი გაეჩხირა და ცხვირ-პირი ეკლებში შერგო.

ნისლას ეკლები ემწარა, ხან იქით გაიწია, ხან—აქეთ, მაგრამ ნურას უკაცრავად,—რქებით გამობმოდა მავთულებს და რაც უფრო იწევდა, მით უფრო მაგრად ახლიდა დრუნჩს ეკლებს.

ნისლა ამ ყოფაში რომ ვნახე, შემებრალა. ჭიშკარი გავაღე, გავედი და ერთ მხარეზე მავთულები მოვხსენი.

ნისლამ თავი რომ გაინთავისუფლა, ერთი შვებით ამოისუნთქა და მერე ჩემთვის არც კი შემოუხედავს, ისე წავიდა.

იმის შემდეგ ნისლა ღობეს არ გაჰკარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარმაცი

ვილი მუსიკის მასწავლებელს ელოდება.

— ხელ-პირი თუ დაიბანე?—ჰკითხა დედამ.

— კი.

— ყურები?

— მხოლოდ მარჯვენა ყური გამოვიბანე.

— რატომ?

— მასწავლებელი ყოველთვის მარჯვენა მხარეს მიზის ხოლმე.

მატყუარა

— რა მატყუარა ყოფილხარ, ტოტო!

— რატომ?

— შენ არ მითხარი, ერთი ძმა მყავსო?

— დიახ, ერთი ძმა მყავს.

— ტყუილია, შენმა დამ მითხრა, ორი ძმა მყავსო.

ტოტო

დედა ბაზრიდან დაბრუნდა.

— ჭურჭელი თუ დარეცხეთ?—ჰკითხა შვილებს.

— მე დავრეცხე, დედიკო,—უთხრა სუზანამ.

— მე კი დავამშრალე,—მიუგო დანიელმა.

— შენ რა გააკეთე, ტოტო?

— მე ნამსხვრევები ავკრიფე.

ფრანგულიდან თარგმნა **იზო სადრაძემ**

ნახატები **ზურაბ ფორჩხიძისა**



ასეც ხდება

წვიმა

ნაირა ნიქარაძე

წკაპა-წკუპი,— წკაპა-წკუპი,—
ციდან მოდის შხაპუნა,
მოლზე წყალი დამდგარა,
იხვმა გაიტყაპუნა.

აი, რა და რა
ჩნდება კვერცხიდან!

აბა, თუ იპოვით, ვინ გატეხა ფანჯარა?!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



გავიცინებ მეც

ნანე ლაღიძე

იცინიან ყვავიღები,
სულ იცინის მზეც,
ღღეის შემდეგ არ ვიტირებ,
სულ ვიცინებ მეც.

გამოცანა

წვიმაში მიყვარს გამოსვლა,
თქვენ ხშირად ქოლგას მადარებთ,
თუ გამომიცნობთ, ვინა ვარ,—
ვულს გაგიხარებთ პატარებს!

ნელი დარსაველიძე

რომელი ხართ, გავშვებო,
გეჯიითი და მამაცი,
აბა, გამოიცანითო:
აქ ვინ არის ზარმაცი?!

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, ჯემალ ლომაია, ზურაბ ლომაიძე, ვაჟვალა მრევლიშვილი, იოსრამ ქემეარტელიძე (პ/მდივანი), ფალავა ცაგარეიძე (ხალ. რედ.-ქტორი), ბიბი ძველაძე

ხაქ. ალკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ კომუნისტთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი. ყოველ ნახატი ედგარდ ამბოკაძისა. გამოცემის 44-ე წელი. ტექრედაქტორი ბ. როინიშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

ხაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ჩაბეჭდილი ასაწყობად 28/I-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/II-71 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურცელი 2,5, ტირაჟი 150.500. შეკვ. № 317. „Дила" № 4. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

76055





„ფოთო“—ნამუშევარი მაია გეგეშიძისა, 6 წ. თბილისი.

„პორტრეტი“—ნაძერწი დავით გიგაურისა, 7 წ. თბილისი.

„ყაყაჩოები“—ნახატი ქეთინო დავრიშაშვილისა, 6 წ. პარიზი.

„გაზაფხული“—ნახატი ანეტა დავრიშაშვილისა, 3 წ. პარიზი.

„თხა“—ნახატი ვანო მაჭავარიანისა, 5 წ. თბილისი.